

№ 104  
(3081)

1966 წ.

ივნისი.

ოთხშაბათი.

წასი 3 კაპ.

ბათუმის  
22-ე წელი

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების  
კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций  
Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

საქართველო  
პროლეტარული  
კავშირების

პარიზი, 31 მაისი. საფრანგეთის ლია ჩემპიონატის ვაჟთა ერთეულების მეოთხედფინალში უსრულდების ცენტრში იყო უფურე (საფრანგეთი) — ემერსონის (ავსტრალია) და მეტრეველი — როჩის (ავსტრალია) მატჩები. გაიმარჯვეს უფურე და როჩა.

(საქ. ინფ.)

1 ივნისი  
ბავშვთა და სპორტის  
საერთაშორისო  
ღღაღა.  
გზავილობა  
ბავშვებს!

### მუკარავნი საყრდენი...

პარიზი, 31 მაისი. საფრანგეთის ლია ჩემპიონატის გმირი, თბილისელი ჩოგბურთელი ა. მეტრეველი და ბაქოელი ს. ლისნოვი გავიდნენ ვაჟთა წყვილების ტურნირის მეოთხე წრეში. მათმა მეტოქეებმა — ავსტრალიელებმა ჯ. კოტრილმა და ა. სტოუნმა უარი თქვეს ამ წყვილთან შეხვედრაზე და ახლა ჩვენები ცხრილის ლიდერებს — ავსტრალიელებს რ. ვერსონსა და ფ. სტოლეს ვთამაშებინ. შერეულ წყვილთა შეჯიბრებაში კიველი გ. ბაკმევა და ს. ლისნოვი დამარცხდნენ მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს დუეტთან — მ. ბუენოსთან (ბრაზილია) და ჯ. ნიუკომბთან (ავსტრალია) — 4:6, 4:6. ა. მეტრეველი შევიდა მ. პეგელთან ერთად ასპარეზობდა შერეულ წყვილებში. მათ


მოუგეს ჟ. რეს-ლევისა (საფრანგეთი) და ე. ავირეს (ჩილი) — 6:1, 6:4, მაგრამ შემდეგ დამარცხდნენ ა. პიდონ-ჯონსთან (ინგლისი) და კ. გრენერთან (აშშ) — 0:6, 4:6.

მაისი, 31 მაისი. 1968 წლის ოლიმპიადის დედაქალაქმა კიდე ერთი „შეცვლა“ მიიღო: გაიხსნა ახალი სტადიონი, რომელიც 100 ათას მაყურებელს დაიტევს. აქ გაიმართება შეჯიბრებები ფეხბურთში და სპორტის სხვა სახეობებში.


### თავაშის განუახლებლად

მოსკოვი, 31 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). როგორც ცნობილია, პეტროსიან — სპასის საჭადრაკო მატჩის XX პარტია გადამდებული იყო სპასისთვის უიმედო პოზიციაში, დღეს პრეტენდენტმა ნახა თუ არა მსოფლიო ჩემპიონის მიერ ჩაწერილი სვლა (ლენ), უმაღლესი დონეზე. ამრიგად, ანგარიში გახდა 10,5:9,5 პეტროსიანის სასარგებლოდ. მსოფლიო ჩემპიონის წოდების შესანარჩუნებლად დარჩენილ ოთხ პარტიაში მას 1,5 ქულაც ჰყოფნის, მაშინ, როცა სპასის მდგომარეობა გაცილებით რთულია: მატჩის მოსაგებად მან 3 ქულა უნდა მოაგროვოს. XXI პარტია გაიმართება 1 ივნისს. თეორებით თავაშობს პრეტენდენტს.

ნატატრის მიღამოებში ჩატარდა თბილისის სპორტკლუბებისა და მათთან გათანაბრებულ საწარმოთა ფიზკულტურული კოლექტივების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება საგზატიცილო ველორბოლაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში ყველას აჯობეს სპორტკლუბ „გამარჯვების“ სპორტსმენებმა. საინტერესო იყო ვაჟთა კვლეფური რბოლა 75 კილომეტრზე. ფინიშთან ერთდროულად მიიჭრა მველოსიევისტი — ს. გრიშკევიჩი („გამარჯვება“), შ. დიაუჩი და ნ. ციკოლია (ორივენი — „სინათლე“). მათი დროა 1:52.15.



სურათზე: რბოლის მონაწილენი დისტანციაზე. ფოტო ა. კოტორაშვილისა.



ფოტოსურათები: ლუქსემბურგიდან. ევროპის ჩემპიონატი ძიუ-დოში. მარცხნივ — ქართველი ათლეტის ა. კიკნაძისა და კ. ბერინაგის (გარე) შეხვედრის ერთ-ერთი მომენტი. გაიმარჯვა საბჭოთა ათლეტმა; მარჯვნივ — ა. კიკნაძე ნახატებისა და წიგნების თაროსთან, რომელიც ქალაქის ქუჩებშია მოწყობილი (ჩემპიონატის მიძღვნილი ფოტო ა. ხაჩივანიანისა).

### სოსუმი ელის მოვალრაკეებს

10 ივნისს სოსუმში სტარტს აიღებს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდების ამხანაგური საერთაშორისო მატჩი. „ლოლოს“ კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა აფხაზეთის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარეს, მატჩის მთავარი მსაჯის მოადგილეს რ. კაკიაშვილს და სოსოვა ეამბნა, ვის ელიან სოსუმში და როგორ მიმდინარეობს შეჯიბრებისთვის მზადება. — საბჭოთა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა გუნდები ერთმანეთს მეათედ ხვდებიან. ასე რომ, ეს იქნება საიური-ლეთ მატჩი, — თქვა რ. კაკიაშვილმა. — მანამდე ყველა შეხვედრა ჩვენებმა მოიგეს. — 5 ივნისს ველით საბჭოთა გუნდს. მის შემადგენლობაში არიან: დიდოსტატი პ. კერესი, ე. გელერი, ვ. კორნიო, რ. სოლომოვი, ე. ვასილუი, მსოფლიო ჩემპიონი ნ. ვაზინდაშვილი, ოსტატები ი. სახაროვი, ა. კუშნირი, ბ. გულკო, გ. კუშმინი და სათადარიგო წევრები — ოსტატები ბ. გურგენიძე, ა. ლუტიკოვი, ტ. ზატულოვსკია და ოსტატობის კანდიდატი თამაზ გიორგაძე. იუგოსლავიელები ცალკე მოგვიანებით ჩამოვლენ. ჯერჯერობით ვიცი, რომ გუნდში იქნებიან დიდოსტატები ა. მატანოვიჩი, ბ. ივკოვი, ბ. პარმა, საერთაშორისო ოსტატები კ. იოვანოვიჩი, ე. ნედელკოვიჩი და ჭაბუკთა მსოფლიო ჩემპიონი ბ. კურაიკა. — საორგანიზაციო კომიტეტმა დიდი ხანია დაიწყო მატჩისთვის მზადება. შეჯიბრება ჩატარდება აფხაზეთის სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში, ხოლო მისი საზეიმო გახსნის ცერემონიალი — დრამატული თეატრის შენობაში. — მოჭადრაკეები იცხოვრებენ სასტუმროებში „აფხაზეთსა“ და „თბილისში“. სტუმრებს გააცნობთ ჩვენს ღირსშესანიშნავ ადგილებს: რიწის ტბას, ბოტანიკურ ბაღს და სხვ. განზრახული გვაქვს, აგრეთვე, გემორჩენილი მოჭადრაკეები სენსეზში შევახვედროთ მათ გულშემატკივრებს. მეგობრობის მატჩი 20 ივნისამდე გაგრძელდება.

### „Dzetsi“ ინსტაჟი

მხატვრულ ტანვარჯიშში თბილისის მოსწავლეთა ახლახან გამართულ საქალაქო შეჯიბრებაში ოსტატთა პროგრამით მოასპარევე 22 სპორტსმენიდან მხოლოდ ორმა — ნ. რევაზიშვილმა და ე. არუთინოვამ შეძლეს ამ ნორმის შესრულება. I ადგილი დაიკავა რევაზიშვილმა. მას მხოლოდ 0,2 ქულით ჩამორჩა არუთინოვა. სურათზე: ე. არუთინოვა ვარჯიშისას. ფოტო ი. იუანევისა.

### გუზინ...

სსრ კავშირის  
პირველობა



სოსუმი ადგილობრივი „დინამოს“ ფეხბურთელები შეხვდნენ კაფანის „ლერნავორსს“. პირველი ტაიმი ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა და უშედეგოდ დამთავრდა.

შესვენების შემდეგ მასპინძლები გააქტიურდნენ. და აი, მე-60 წუთზე სერიოზოვდა ლამაზი დარტყმით გაიტანა ბურთი, რომელმაც სოსუმელებს გამარჯვება მოუტანა — 1:0.

ზ. ჯალალონია.  
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ფოთში ადგილობრივი „კოლხედის“ ფეხბურთელები მატჩის ბოლო 20 წუთს განსაკუთრებით მშაფრად უტყველდნენ კიროვკანის „ლორის“ კარს, მაგრამ იგი აულბეგლი დარჩა. გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ სტუმრებსაც.

საბოლოოდ, \* შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

ა. ლოგიაია.  
(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

ჯუაბილში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ენგურის“ და ოქტომბერიანის „სევენი“. გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 2:0.

გუმინის ელისტაში ადგილობრივი „ურალანი“ შეხვდა რუსთავის „მეტალურგს“. პირველი ტაიმი დამთავრდა ფრედ — 1:1. შესვენების შემდეგ „მეტალურგმა“ კიდევ ერთი გოლი გაიტანა მასპინძელთა კარში და გაიმარჯვა — 2:1. რუსთაველთაგან ორივე ბურთის ავტორია გვენჯაშვილი.

### ფეხბურთი

# საქართველოს რეპორაჟები

მკლავისწომა

1966 წლის 1 იანვრისათვის

სახეობა შედეგი რეპორაჟში ორგანიზაცია დამყ. წელი სახეობა შედეგი რეპორაჟში ორგანიზაცია დამყ. წელი

## 17-18 წლის ჭაბუკები

რანგა:					
60 მ	6,8	ლ. ანთაძე	თბ. გან. განყ. 1955		
	6,8	ა. ბაქრაძე	თბ. გან. განყ. 1958		
100 მ	10,8	ლ. ანთაძე	თბ. გან. განყ. 1955		
200 მ	22,0	ვ. კონდრატიძე	თბ. გან. განყ. 1966		
400 მ	49,6	ზ. სარაძისანი	თბ. გან. განყ. 1968		
800 მ	157,0	ი. ცანავა	ფიჭ. ინსტ. 1966		
1000 მ	234,5	ი. ცანავა	ფიჭ. ინსტ. 1966		
1500 მ	406,0	ი. ვოლოგოვი	ბათ. გან. განყ. 1952		
2000 მ	551,2	ი. ვოლოგოვი	ბათ. გან. განყ. 1952		
3000 მ	930,0	საწყისი ნორმატივი			
თარჯობანი:					
110 მ (სიმაღლე 1 მ)	15,4	ბ. ნარმაძე	სოხ. ნორჩი დინ. 1965		
	15,4	ვ. ჩარნოვი	თბ. გან. განყ. 1966		
110 მ (სიმაღლე 106 სმ)	15,0	ი. დინაძე	თბ. „დინამო“ 1958		
	15,0	ვ. ჩარნოვი	თბ. გან. განყ. 1966		
200 მ (თარჯობის შორის მანძილი 17,80 მ)	24,4	ი. კოჭალაძე	ქუთ. გან. განყ. 1968		
ისტაფობა:					
4x100 მ	43,0	საქართველოს ნაკრები	1968		
4x200 მ	135,4	საქართველოს ნაკრები	1964		
800+400+200+100	325,4	თბილისის ნაკრები	1966		
საორბული სიარული:					
5 კმ	24.37,6	ი. ახვლედიანი	სოხ. გან. განყ. 1952		
10 კმ	50.38,8	მ. კლემენტოვი	თბ. გან. განყ. 1950		
ხტობა:					
სიგრძეზე	708	ა. ბეჭაძე	თბ. გან. განყ. 1958		
სიმაღლეზე	203	მ. საბანელიძე	„განთავი“ 1965		
სამსტომი	14,85	ბ. ჩარნოვი	თბ. გან. განყ. 1966		
ლითონის ტოკით	400	ბ. ვინცაძე	თბ. გან. განყ. 1958		
ფიზიკურად	410	ბ. თამარაძე	თბ. გან. განყ. 1966		
ბორცვი:					
ბადრო (1,5 კგ)	57,73	ბ. გუგუშვილი	თბ. სპ. სკ-ინტ. 1957		
ბადრო (2 კგ)	47,41	ბ. გუგუშვილი	თბ. სპ. სკ-ინტ. 1959		
შუბი	64,09	ბ. კახაიანი	თბ. სპ. სკ-ინტ. 1968		
ხელუშვარა (700 გრ.)	71,82	ი. წიკაძე	თბ. გან. განყ. 1951		
ურთ (6 კგ)	61,49	რ. ჩინაძე	თბ. გან. განყ. 1965		
ურთ (7,257 გრ.)	51,45	ბ. მუხომბერი	თბ. გან. განყ. 1958		
ბირთვი (6 კგ)	17,78	ბ. მუხომბერი	თბ. გან. განყ. 1961		
ბირთვი (7,257 გრ.)	16,41	ბ. მუხომბერი	თბ. გან. განყ. 1962		
ხუთბილი:	2736	ბ. სიღვიძარი	თბ. გან. განყ. 1959		
რვაბილი:	4562	ბ. ლომიძე	თბ. გან. განყ. 1962		
ბიბილი:	5487	ბ. ლომიძე	თბ. გან. განყ. 1965		

ლითონის ტოკით	360	ბ. ვინცაძე	თბ. გან. განყ. 1956		
ფიზიკურად	360	საწყისი ნორმატივი			
ბორცვი:					
ბადრო (1,5 კგ)	46,52	ბ. ბაბაშვილი	თბ. სპ. სკ-ინტ. 1961		
შუბი (600 გრ.)	58,03	ბ. კახაიანი	თბ. გან. განყ. 1954		
ხელუშვარა (500 გრ.)	62,30	ბ. კახაიანი	წალკა, გან. განყ. 1965		
ურთ (5 კგ)	50,58	ბ. მუხომბერი	თბ. გან. განყ. 1958		
ბირთვი (5 კგ)	15,22	ბ. ნიკოლოზი	გაგრა, გან. განყ. 1961		
ბიბილი:	2793	ბ. არაბაძე	სოხ. გან. განყ. 1964		

## 17-18 წლის გოგონები


რანგა:					
60 მ	7,3	ბ. დვალისვილი	თბ. გან. განყ. 1951		
		(ხნიკია)			
100 მ	11,7	ბ. დვალისვილი	თბ. გან. განყ. 1952		
		(ხნიკია)			
200 მ	24,6	ბ. დვალისვილი	თბ. გან. განყ. 1952		
		(ხნიკია)			
400 მ	49,6	ბ. მუხომბერი	ქუთ. გან. განყ. 1960		
500 მ	119,8	ლ. ზუბარაძე	თბ. გან. განყ. 1960		
800 მ	226,3	ბ. ხაბაძე	თბ. გან. განყ. 1950		
თარჯობანი:					
80 მ	11,1	ლ. ივალიძე	თბ. გან. განყ. 1959		
ისტაფობა:					
4x100 მ	49,0	საქართველოს ნაკრები	1958		
4x200 მ	148,2	საწყისი ნორმატივი			
400+300+200+100	229,7	საქართველოს ნაკრები	1949		
ხტობა:					
სიგრძეზე	598	ლ. ივალიძე	თბ. გან. განყ. 1958		
სიმაღლეზე	165	ლ. კახაიანი	თბ. გან. განყ. 1961		
ბორცვი:					
შუბი	44,09	ბ. ვოლი	სოხ. ნორჩი დინამ. 1965		
ბადრო	45,13	ბ. ნედილია	ბათ. გან. განყ. 1957		
ხელუშვარა (700 გრ.)	45,21	ი. ლევიანი	თბ. ახლგაზრდობის სპორტსკოლა 1952		
ბირთვი	13,40	ბ. თამარაშვილი	თბ. შმლ. სკ. 1965		
სამსტომი	2190	ბ. დვალისვილი	თბ. გან. განყ. 1950		
		(ხნიკია)			
ხუთბილი	4413	ლ. ივალიძე	თბ. გან. განყ. 1959		

## 15-16 წლის გოგონები

რანგა:					
60 მ	7,7	ბ. დვალისვილი	თბ. გან. განყ. 1948		
		(ხნიკია)			
100 მ	12,1	ბ. პაპიაშვილი	ქუთ. გან. განყ. 1952		
200 მ	25,4	ბ. მუხომბერი	თბ. გან. განყ. 1961		
300 მ	41,4	ბ. დვალისვილი	თბ. გან. განყ. 1948		
		(ხნიკია)			
80 მ თარჯობანი	11,9	ბ. იანაძე	თბ. ნორჩი დინამ. 1957		
ისტაფობა:					
4x100 მ	49,8	თბილისის ნაკრები	1957		
4x200 მ	140,0	საწყისი ნორმატივი			
ხტობა:					
სიგრძეზე	582	ბ. დვალისვილი	თბ. გან. განყ. 1949		
		(ხნიკია)			
სიმაღლეზე	158	ბ. ნაზინიძე	ქუთ. გან. განყ. 1966		
ბორცვი:					
შუბი (600 გრ.)	38,36	ბ. შინიძე	თბ. გან. განყ. 1954		
ბადრო (1,5 კგ)	39,53	ბ. ნედილია	ბათ. გან. განყ. 1958		
ხელუშვარა (500 გრ.)	42,99	ბ. ჩარნაძე	თბ. გან. განყ. 1940		
ბირთვი (3 კგ)	12,55	ბ. საბაშვილი	თბ. გან. განყ. 1966		
საბილი:	2190	ბ. დვალისვილი	თბ. გან. განყ. 1950		
		(ხნიკია)			
ბიბილი:	2787	ლ. საბანიძე	თბ. გან. განყ. 1965		

## 15-16 წლის ჭაბუკები

რანგა:					
60 მ	6,9	ბ. ანტონოვი	თბ. გან. განყ. 1961		
100 მ	10,8	ბ. ანტონოვი	თბ. გან. განყ. 1961		
200 მ	22,4	ბ. კონდრატიძე	თბ. გან. განყ. 1966		
400 მ	52,2	ბ. ლომიძე	თბ. გან. განყ. 1961		
500 მ	1.09,2	ბ. ლომიძე	თბ. გან. განყ. 1961		
800 მ	2.03,4	ი. კოჭიაძე	თბ. გან. განყ. 1961		
თარჯობანი:					
110 მ (სიმაღლე 91,4 სმ)	14,6	ბ. ლანჩავა	ქუთ. გან. განყ. 1960		
საორბული სიარული:					
3 კმ	15,00	საწყისი ნორმატივი			
5 კმ	26,30,0	საწყისი ნორმატივი			
ისტაფობა:					
4x100 მ	45,5	თბილისის ნაკრები	1966		
4x200 მ	135,4	თბილისის ნაკრები	1954		
ხტობა:					
სიგრძეზე	684	ბ. ანტონოვი	თბ. გან. განყ. 1961		
სიმაღლეზე	190	ი. არაბაძე	თბ. გან. განყ. 1961		



# სტარტზე სიტყვები

აპარის მოსწავლეთა XVIII სპარტაკიადა

ბათუმის სპორტულ მაგისტრატის დახმარებით აპარის მოსწავლეთა XVIII საბჭოთა სპარტაკიადის შეჯიბრებები გაიმართა ტანვარჯიშში, ფრენურთში, კალათბურთში, ხელბურთში, სროლაში, მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. მთელი ასპარეზობის მანძილზე წინ იყვნენ ნორჩი მასპინძლები და მხოლოდ ქობულეთის რაიონის ველოსიპედისტებმა შეძლეს მათთან გატოლება — I-II ადგილები გაიყვეს. III იყო ბათუმის რაიონის გუნდი.

კალათბურთში II ადგილი დაიკავეს ქედისა (გოგონები) და ბათუმის (ჭაბუკები) რაიონების წარმომადგენლებმა. უნდა ითქვას, რომ ქედის გუნდი, რომელიც მასწავლებლის სკოლა-ინტერნატის აღსაზრდელი გოგონებით იყო დაკომპლექტებული, კარგად მომზადებული გამოვიდა სპარტაკიადიდან. მან ყველა შეხვედრა თვალსაჩინო უპირატესობით ჩაატარა, მაგრამ ფინალური მატჩი ქალაქის უფრო გამოცდილი კალათბურთელების წააგო — 22:39.

ქობულეთის რაიონის ნორჩმა ფრენურთელებმა (გოგონებში და ჭაბუკებში) II ადგილები დაიკავეს. III ადგილი წილად ხვდათ ქედისა (გოგონები) და ბათუმის (ჭაბუკები) რაიონების მოსწავლეებს.

ხელბურთულთა ასპარეზობაში მეორე იყვნენ ქობულეთის რაიონის გოგონები და ბათუმის რაიონის ჭაბუკები. ხულოელი გოგონები და ქობულეთელი ჭაბუკები III ადგილებზე გავიდნენ.

სროლაში II ადგილი დაიკავეს ქობულეთის რაიონის გუნდმა. შუახვეის რაიონის ნორჩი მსროლელები III ადგილზე გავიდნენ.

მაგიდის ჩოგბურთში II ადგილი წილად ხვდათ ბათუმის რაიონის, ხოლო III — ქობულეთის რაიონის კომპლექტებს.

ამრიგად, სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვეს ბათუმის ნორჩმა სპორტსმენებმა. II ადგილზეა ქობულეთის რაიონის გუნდი, ხოლო III — ბათუმის რაიონის წარმომადგენლები.

**ბ. კახაიანი.**

## ცნობები გორიდან მიუძღვნეს...

... არჩვენებს

მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადი, რომელიც საბჭოთა კავშირის უმაღლესი სამხედრო არმიის მიერ იმართება, 1.000-ზე მეტი ნორჩი ფიზიკულტურელი მონაწილეობდა. სპორტის 8 სახეობაში პირველობისთვის იმართდა 10 საშუალო და 2 რეპლიკანი სკოლა.

საუკეთესო შედეგს მიაღწიეს მე-4 საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. II-III ადგილები დაიკავეს მე-5 და 1-ლი საშუალო სკოლების წარმომადგენლებმა. აღსანიშნავია, რომ ასამდე მოასპარევემ პირველად შეასრულა ან აიმაღლა სათანადო წონის ზონის ზონები. გამოვლინდნენ საიმედო მოზარდი მძლეოსნები: რ. შედეგურიძე, გ. ჯიბუაძე, ნ. თაყაიძე, ა. ჯინაბაძე; ტანვარჯიშელები: ლ. გოდუნიანი, დ. მელქაძე, მიჭერაძე, გ. ჯაფარიძე და სხვ.

## ... 50-ე წლისთავსა და IV საიუბილეოს

68 ფიზიკულტურული კოლექტივის 1.800-მდე სოფლელი სპორტსმენი მონაწილეობდა „გოგონების“ ზონალურ სპარტაკიადში, რომელიც 8 ასპარეზოში გაიმართა თბილისში.

I ზონაში საუკეთესო აღმონებლები სოფელი მეფრისხევის, II — ატრის, III — ტყეფრის, ხოლო IV — ვარაზის სპორტსმენები. ყოველ ზონაში I-II ადგილებზე გასული კოლექტივები ივნისში ფინალში იასპარეზებენ.

ღონისძიება, რომელიც საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის 50-ე წლისთავსა და სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეოს სპარტაკიადის მიერ იმართება, ჩატარდა სოფლად მომზადებული საზოგადოებრივი კაფიტების თაოსნობითა და ძალეებით.

**თ. ბაჩალიძე.**  
(ჩვენის ჰმეც. კორ.)

**რეპარაჟი**

ქუთაისი, 2. „მომოთი“ რეპარაჟი-ბიჭი, 3. ბავშვთა სპორტსკოლა.

**ა. მანაძისვილი.**

**ზესტაფონი**

ხელბურთულთა საქალაქო ასპარეზობაში I ადგილი დაიკავეს რეპარაჟის მე-7 საშუალო სკოლის გუნდმა, II — მე-3 საშუალო სკოლის ხელბურთელებმა, ხოლო III — 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლებმა.

**ბ. ბაჩალიძე.**

## გამოუკვეთიანი წერილების კვალდაკვალ

რედაქციამ მიიღო წერილი ხაშურელი ახალგაზრდებისაგან, სადაც ფეხბურთის მოყვარულები დახმარებას ვითხოვენ. საქმე ის არის, რომ მოედნის სიმაღლის გამო, ახლო-შახლო მომზადებები მათ თამაშის უფლებას არ აძლევდნენ. ამრიგად, ხაშურელ ჭაბუკებს წლებადეულ შეჯიბრებებში მონაწილეობის საშუალება ესპობოდათ.

როგორც ხაშურის სპორტკავშირის თავმჯდომარე კ. ახვლედიანი გვაცხადებდა, წერილში მოყვანილი ფაქტი დადასტურდა, ამჟამად ახალგაზრდებს ახლომდებარე სალოცოპოლიცო დეპოს მოედანზე თამაშისთვის გამოუყოფთ განსაზღვრული საათები.

## აქედანვე ვეძებოთ სსრ კავშირის ხალხთა IV საიუბილეოს სპარტაკიადისთვის

ჩატარდა თბილისის მოსწავლეთა საქალაქო სპარტაკიადის პირველი ფაქტობრივი შეჯიბრება ცურვაში. საერთო გუნდურ ჩაბრუნებაში პირველობა მოიპოვეს ლენინის რაიონის კოლექტივმა. II ადგილზე არიან I მთისის, III — თბილისის რაიონის სპორტსმენები. გოგონათა შორის გამარჯვებულნი ლენინის, ხოლო ჭაბუკთა შორის — I მთისის რაიონის მოცურავეებმა. <p>წლებადეული რესპუბლიკური სპარტაკიადისთვის მზადების გეგმაში ამ ეტაპზე მალაღობა შედეგების მომდევნო ფაქტობრივი შედეგები არ არის, მაგრამ მანაც შედეგები წლებადეული უკეთესი იყო, ვიდრე წინააღმდეგ სპარტაკიადში. მაგალითად, გოგონებში 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში წინააღმდეგ ჩემპიონის შედეგი (1.25,0) ამ ტურნირში სპორტსმენის მხოლოდ IX ადგილს მოუტანდა, ჭაბუკებში გამარჯვებულნი მიერ ნაწილები დრო კი ამჯერად IV ადგილს შეესაბამებოდა. ასე იყო ბრასილია და ბატერფლაით ცურვაშიც.</p> <p>წინააღმდეგ გოგონათა შორის შურსზე ცურვაში 5 სპორტსმენი ასპარეზობდა, წლებადეული კი — 14, თანაც, საერთო მაჩვენებელი უკეთესი აღმოჩნდა.</p> <p>ესხდია, მოასპარევე კოლექტივებმა შეჯიბრების წლებადეული შედეგები შეესაბამებოდა გამოირჩენ, კარგად მოემზადნენ და ბევრ სახეობაში ახალი ჩემპიონებიც გამოვლინდნენ. ქალაქის ჩემპიონები</p>	განდნენ: გოგონათა შორის — 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — ი. იფინიკოვა — 1.13,1, 100 მეტრზე ბრასილით ცურვაში — ი. იფინიკოვა — 1.28,2, 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში — მ. ჭაბაია — 1.27,5, 200 მეტრზე კომპლექსურ ცურვაში — ლ. ოსაიძე (ყველანი — ლენინის რაიონი) — 3.11,2, ესტაფეტა 4x100 მეტრზე თავისუფალი სტილით — ლენინის რაიონი — 5.12,5. 100 მეტრზე შურსზე ცურვაში გამარჯვდა თ. ლევიანი (1 მთისის რაიონი) — 1.24,1, კომბინირებული ესტაფეტა 4x100 მეტრზე დამთავრდა თბილისის რაიონის „კვარტეტის“ გამარჯვებით — 6.00,6. <p>ჭაბუკთა შორის თავი ასახვეს: 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — გ. ბოლქვაძე — 1.04,8, 100 მეტრზე შურსზე ცურვაში — რ. შინაიანი (თბილისი — ლენინის რაიონი), 100 და 200 მეტრზე ბრასილით ცურვაში — ი. კირიძე-ნოვა (ორკოპილის რაიონი) — 1.15,6 და 2.48,2, 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაში —</p>
--	---



ა. წ. 7-8 მაისს ლუქსემბურგში ევროპის დიპლომატიის ფორუმი ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდა საქმის კონსპონდენტი პ. ხაჩატრიანი. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ ტურნირის დამთავრების წერილს, რომელიც მან საჯაროდ „ლელოსთვის“ დაწერა.

სსრ კავშირის სამხრეთი დიპლომატიის შტაბში 1962 წლიდან მონაწილეობენ, მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ სპორტის ეს სახეობა ტოკიოს ოლიმპიადის პროგრამაში იყო შეტანილი. ამ წლიდან მოყოლებული, ევროპის ჩემპიონატში მუდამ გამოდის თბილისელი ათლეტი ა. კეკელიძე. რამდენიმე ევროპული ფორუმის მონაწილეობის არიან მისი თანამემამულეები ფ. ჩიკვილაძე და ა. ქობორწინაძე.

სულეანდელ ჩემპიონატში, ამ ქართული ტრიოს გარდა, „ძველებიდან“ მხოლოდ მოსკოველი სამხრეთი ო. სტეპანოვი და ა. იუდინი გამოდიოდნენ. გუნდის სხვა 4 წევრი, სახელდობრ, კიეველი ნ. კოზიცი, სარატოველი ვ. პოკატაევი და კიშინიოველი გ. გუცუ და გ. კოტიკი, ევროპის ჩემპიონატში პირველად ცდიდნენ ძალის რამდენად იყო გამართლებული გუნდის ესოდენი „გაახალგაზრდავება“ — ჩემპიონატის შედეგებს უნდა ჩერდებოდნენ.

საბჭოთა მოჭიდველების დედეგაცია ლუქსემბურგის პარიზისა და სპაიერის ხიდის კონკრეტულ — ამსტერდამ — ბრიუსელის გაგებით ჩაივდა. საფრანგეთის დედაქალაქში ნახევარდღიანი შესვენების შემდეგ ლუქსემბურგის თვითმფრინავში უნდა გადავსხდარიყავით. პარიზის ბურჟუაზიური საფრანგეთის მუშათა სპორტული ფედერაციის წევრებმა გულთბილი შეხვედრა მოგვიწვეს. სწორედ მათი დიდი ყურადღების წყალობით მოვახარით ლუქსემბურგის დიდებული მუშაობის ფასდაუდებელი კესპონანტების ნახვა. 3 საათი, რა თქმა უნდა, ყველაფრის გასაქონლად არ ქმარდა, მაგრამ ჩვენ, როგორც იტყვიან, ციტირებენ ვიყავით და მხოლოდ ზერეულ დათვალაობებს დაგვრდნენ.

დიდი საპერცოტოს დედაქალაქი მოლუმი ამინდით შეგვგვდა. წვიმისა და შუადღის მთხედვად, საბჭოთა სპორტსმენების დედეგაციას აერთოდრომე თვითმფრინავი პირები, ჟურნალისტები, ლუქსემბურგის დიპლომატიის ფედერაციის პრეზიდენტი ა. აკერმანი ელოდნენ. აკერმანი მეტად მზარული და ენერგიული კაცი გამოდდა.

ლუქსემბურგი ძალიან უცნაური და თავისებური ქალაქია. 1963 წლის აპრილს მას 1.000 წელი შეესრულა, მაგრამ სულ ახალგაზრდა გვევლინება. მდინარეები ალუტეტი და პეტრუსი ქალაქს ორ ნაწილად ყოფს. უნდა — ძველსაველი ციხე-სიმაგრის ნანგრევები, პეტრუსის სასახლე და სხვა სხვის ისტორიული შენობები. ქვედა — ახალი კვარტალები, სამრეწველო საწარმოები და დაწესებულებები. ქალაქის ამ ორ ნაწილს აერთებს ვიდეო-დუკი — ადოლფის ხიდი და ნი კიდევ სხვა მოძველები ხიდი. საინტერესოა, რომ კონსტრუქციითა და გარეგნული იერით არც ერთი არ ჰგავს მეორეს.

ლუქსემბურგი ლამაზია, სუფთა და, ამავე დროს, ხმაურიანი. მთავორიანი რელიეფი და გაშლილი მინდორები ერთმანეთთან პარმონიულადაა შეწყობული. ერთ-ერთ მიდანსზე, რომელიც ვილჰელმის სახელს ატარებს, უბრალო და შეუხედავ შენობაში, ქალაქის თვითმმართველობა მოთავსებული. მის შორი-ახლო წამოჭიმულია პეტრუსის ძეგლებური სამართლიანი სასახლე. დიდი პეტრუსის ფანის სიმყუდროვას ორჯარისკაცი იცავს: — ერთი გაუძნრეულად დგას, მეორე კი გაუძნრებით ბოლთას სცემს.

ლუქსემბურგში ბევრია კომპოზიტორები, მწერლები, მცენებრთა ძეგლი. ქალაქი არც ისე დიდია, მაგრამ მისი საფუძვლიანად დათვალაობებს მაინც ვერ შევძელით.

სასტუმრო „სინტენი“, სადაც საბჭოთა სპორტსმენები ცხოვრობდნენ, ქალაქის რატუნისა და ნოტრდამის ტაძრის გვერდით მდებარეობს. ასეთ საბაბით შენობებთან მეზობლობა ბევრს უხედავლობას ქმნიდა, ვინაიდან იმ დღეებში საპერცოტო დიდ რელიეფურ თაროს აღნიშნავდა და ტაძრის ზარები სახეობა რევეს დილის 8 საათიდან იწყებდნენ. ამასთან, ყოველი ქალაქი და სოფელი ტაძრისკენ საკუთარი სასულე ორგანოებით მოეშურებოდა.

ჩემპიონატის გახსნამდე ერთი დღით ადრე საინტერესო რამ შემეძინა. ლუქსემბურგში ულავას არაფერ ატარებს და აი, ქეჩაში სრულიად მოულოდნელად შემანერა კოსტად ჩაცმულმა, შავგვერდინმა, ულავაშიანმა მამაკაცმა და ქართულად მკითხა:

— ბოლოში, ქართველი ბრძანდებით? ყურებს არ დაგუჯრე. უცნობი კი გულდად მილიმობდა და პასუხს ელოდა. — არა, მოსკოველი გახლავარ, მაგრამ თბილისში დაბადდე. პასუხმა ძალიან გაახარა. ჩემი თანამოსაუბრე, ორგანო გორდელაძე საინტერესო და რთული ბედის ადამიანი გახლავდა. იგი 43 წლისაა. დაიბადა სტამბოლში. აქედან მისი მშობლები ოსლოში გადასახლდნენ. ფაშისტური ოკუპაციის პერიოდში ორგანო ციხეში ამოყოფინებოდა.

— წინააღმდეგობის მებრძოლებს გეხმარებოდა, — გეზმინარტა ასალმა ნაცისტმა. — გერმანელებს მამხილებელი მასალები არ ჰქონდათ, მაგრამ ციხეში ყოველი შემთხვევისთვის ჩამსვეს.

ომის დამთავრების შემდეგ ორგანო საცხოვრებლად პარიზში გადასულა და დაქორწინებულა. მშობლებს თურმე ოჯახში ქართველი რძლის შემოყვანა სურდათ, მაგრამ ნორვეგიაში ქართველს და ისიც გასათხოვარ ქალს სად იპოვინდნენ?

— ჩემი ყველაზე დიდი ნატვრა სამშობლოს ნახვაა, მაგრამ საფრანგეთის ხელისუფლებამ არ მამღვეს ვიზას, — სინანულით დასძინა ორგანო. იგი მალაგკავლი ფიციური ინჟინერ-ელექტიკოსი ყოფილა.

ჩემი ასალი ნაცნობი სპორტის, განსაკუთრებით კი, ჭიდაობის დიდი მო-

ტრფილად გამოდგა. იგი კარგად იცნობს საბჭოთა სპორტს, გარკვეულია ქართველი მოჭიდველების წარმატებებში. რამდენიმეჯერ ჩემი ათლეტების გამოსვლებიც უნახავს. ახლა გაუგია, რომ ლუქსემბურგში საბჭოთა მოჭიდველებმა უნდა იასპარეზონ და ერთი დღით თვითონაც ჩამოსულა. პარიზში იგი კარგ ხასიათზე დაბრუნდა. სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელშიც ორი ანზორი — კიკნაძე და ქობორწინაძე — გამოდიოდნენ, პირველსავე დღეს გაინაღდა ევროპის ჩემპიონის ტიტული. ორგანიზაციის მსახურსა და მსამართლო ვადამდე ვიყავით. ფ. ჩიკვილაძის მიმართ, როგორც ცნობილია, ფარნაოზმა მხოლოდ არაბიექტური მსახურის გამო დაკარგა ოქროს მედალი.



მეცხველმა კარგად იცის, რომ საბჭოთა დიპლომატიის ქალაქი ოქროს 4, ვერცხლის 2 და ბრინჯაოს 5 მედალი მოიპოვეს. ჩემი ათლეტების ტრიუმფს დასავლეთ ევროპის მილიონობით ტრექმაყურებელი აღდევნდა თვალს. ლუქსემბურგში დიპლომატიის გულმემატკივარი ჩამოვიდა ბელგიიდან, პოლანდიდან, საფრანგეთიდან, გერმანიიდან და სხვა ქვეყნიებიდან. ქალაქიდან საზღვრამდე სულ რაღაც 30 კილომეტრია, ამიტომ ტურისტები უმთავრესად ავტომანქანებით მოგზაურობდნენ. ევროპისა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, პოლანდიელმა ა. გვეზინკმა ყველა საქმე გადადო ტოკიოში (იქ მივლინებით მი-

ყოფნობდა) [ლ. სტეპანოვი] ქალაქში რინდა. საბჭოთა მოჭიდველები ჩემპიონატის დღეებში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცევს ჩემი გუნდის ყველაზე მსუბუქმა მოჭიდველმა ს. სუსლინმა და მისი მოწონანმა — ა. კიკნაძემ, რომელიც ზედიზედ მეთხმედ გუნდა ევროპის ჩემპიონი.

სადაც, შეგვიბრების დამთავრების შემდეგ, ჩემი ათლეტების წარმატება სახეობად აღნიშნეს საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებმა. თამადად ერთმანდას დაინიშნა ა. კიკნაძე, რომელმაც ერთხელ კიდევ გააოცა შეგვიბრები, ამჯერად, მეჭვირმეჭვილური სადღვერძე-ლოებით.

საელჩოს დარბაზში დიდხანს ისმოდა რუსული და ქართული სიმღერები... ლუქსემბურგი — მოსკოვი.

სურათზე (ზევიდან ქვევით): საბჭოთა ათლეტები მიეშურებიან ჩემპიონატის მონაბელობას; საქალაქო დარბაზი. ა. ქობორწინაძე; მეტოქეს ელოდს უტარებს; მარჯვნივ — ა. კიკნაძე შეხვედრების „ტაიმ-აუტში“; სახელგანთქმული პოლანდიელი მოჭიდვე ა. გვეზინკი (მარჯვნივ); და ქართველი ათლეტი ფ. ჩიკვილაძე.



უცხოეთის აგებვი
თვალეზადა მოკარკულთა რაპორდსმენი
სივრძეზე სტომამი მსოფლიოს ახალი რეკორდი — 5,90 მეტრი — დამყარებულ იქნა კალიფორნიის ქალაქ ენჯელს კემპში. ძველი მიღწევა ერთბაშად 30 სანტიმეტრითაა გაუმჯობესებული! ახალი რეკორდის ავტორია რიპალი.

უცხოეთის ქრონიკა
● ბოლონია. ცნობილია გერმანელმა ფეხბურთელმა პალერმა, რომელიც იტალიის ჩემპიონატის დამთავრებამდე „ბოლონიაში“ თამაშობდა, აღარ განახალა ხელშეკრულება ამ გუნდთან. მან განაცხადა, რომ სამშობლოში ბრუნდება და მიუწვინის ერთ-ერთ კლუბში ითამაშებს.
● ლონდონი. ვაზეთმა „ნიუს უორლდმა“ ჩაატარა გულშემატკივრების გამოკითხვა: „დაახლოებით თანამედროვეობის უძლიერესი ფეხბურთელი ვინაა?“. აი, როგორ განაწილდა ადგილები კონკურსის შედეგად: 1. ფაშტი, 2. პელე, 3. ეუსებო, 4. იაშინი, 5. ზეილერი, 6. მური, 7. გრეისი, 8. ჩარლტონი.
● გლაზგო. შოტლანდიის ნაკრებს ახალი მწვრთნელი ჰყავს. ესაა „გლაზგო რეინჯერსის“ ყოფილი მთამაშე და შემდეგ მწვრთნელი ჯონ ბრენტი.

სილვა, „ინტარნაციონალა“ და 354 მილიონი კრუზაირი
იმ ახალ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც ვ. ფოლამ შეიყვანა ბრაზილიის ნაკრებში, განსაკუთრებულ ყურადღებას იმართებს ცენტრალური თავდასხმელი სილვა („ფლამენგო“).
25 წლის ზანგი ფეხბურთელი თამაშის მანერით ძალიან ჰგავს პულსს. იგი ბრაზილიელ გულშემატკივრებს შორის დიდი პოპულარობით სარგებლობს, მაგრამ ზედიზედ პრინციპული როლია. სილვა დათანხმდა სექტემბრიდან „ინტარნაციონალში“ ითამაშოს, რომლის მწვრთნელი ვ. ერერა გატარებამაია ჩავარდნილი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თამის ფინალში მარცხის შემდეგ, ერერა თანახმაა „ფლამენგოს“ 354 მილიონი კრუზაირი გადაუხადოს სილვას საფასურად.